სამკურნალო პრეპარატის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენების ინსტრუქცია

ლუგოლის ხსნარი გლიცერინით

რეგ N 31
ბw1953
10.12.22

შემადგენლობა:
აქტიური ნივთიერებები: იოდი, კალიუმის იოდიდი;
1 გ ხსნარი შეიცავს 10 მგ იოდს, 20 მგ კალიუმის იოდიდს;
დამხმარე ნივთიერებები: გაწმენდილი წყალი, გლიცერინი.

სამკურნალო ფორმა. ორომუკოზური ხსნარი.
ძირითადი ფიზიკური და ქიმიური თვისებები: მოყავისფრო-წითელი ფერის სიროფის მსგავსი სითხე იოდის სუნით.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი. პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება ყელის დაავადებების დროს. ანტისეპტიკები. ATC კოდი R02A A20.

ფარმაკოლოგიური თვისებები.
ფარმაკოდინამიკა. „ლუგოლის ხსნარს გლიცერინით" ახასიათებს ბაქტერიციდული მოქმედება მასში თავისუფალი იოდის შემცველობის გამო. სამკურნალო პრეპარატს აქვს ანტიმიკრობული მოქმედება გრამდადებით და გრამუარყოფით ბაქტერიებზე, მათ შორის სტრეპტოკოკებზე, სტაფილოკოკებზე, ნაწლავის ჩხირზე, კლებსიელაზე, Proteus vulgaris-ზე.
ფარმაკოკინეტიკა. არ არის შესწავლილი.

კლინიკური მახასიათებლები.
ჩვენებები.
ხახისა და ხორხის ლორწოვანი გარსების ანთებითი დაავადებები: ლარინგიტი, ტონზილიტი, ფარინგიტი.

უკუჩვენებები.
მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ. ღვიძლისა და თირკმელების მძიმე დაავადებები, ფარისებრი ჯირკვლის მძიმე ჰიპერფუნქცია, გულის, თირკმლის ან ღვიძლის დეკომპენსირებული უკმარისობა; გამოკვლევები ან თერაპია რადიოაქტიური იოდით (გამოკვლევამდე ან თერაპიამდე 2 კვირით ადრე და შემდეგ).

წამალთაშორისი ურთიერთქმედება და ურთიერთქმედების სხვა სახეები
პრეპარატი არ გამოიყენება წყალბადის ზეჟანგის ხსნართან და სხვა სადეზინფექციო საშუალებებთან ერთად.

პრეპარატის გამოყენების თავისებურებები.
პრეპარატი არ არის განკუთვნილი პერორალური მიღებისთვის. არ ჩაისუნთქოთ და/ან არ გადაყლაპოთ პრეპარატი. მოერიდეთ წამლის თვალში მოხვედრას. სიფრთხილით გამოიყენეთ პრეპარატი ლარინგიტის დროს ლარინგოსპაზმის განვითარების შესაძლებლობის გამო; ტუბერკულოზის, ჰემორაგიული დიათეზის დროს.
არ დაარღვიოთ პრეპარატის გამოყენების წესები - ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას.

პრეპარატის გამოყენება ორსულობის ან ლაქტაციის პერიოდში.
პრეპარატი უკუნაჩვენებია ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში.

სატრანსპორტო საშუალების ან სხვა მექანიზმების მართვისას რეაქციის სიჩქარეზე ზემოქმედების უნარი.
არ მოქმედებს.

პრეპარატის გამოყენების მეთოდი და დოზა.
გარეგანი გამოყენებისთვის!
პრეპარატით დასველებული ტამპონის წასმა ხდება ხახისა და ხორხის დაზიანებული ლორწოვანი გარსებზე 3-4-ჯერ დღეში.
მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობასა და მის სიმძიმეზე.

ბავშვები.
პრეპარატის გამოყენება არ არის რეკომენდებული 5 წლამდე ასაკის ბავშვებში

ჭარბი დოზირება
შესაძლოა იოდიზმის გამოვლინება (რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ცრემლენა, ნერწყვდენა, კანის გამონაყარი, კუნთების სისუსტე, ლეთარგია).
მკურნალობა. პრეპარატის დაუყოვნებლივი შეწყვეტა და სიმპტომური თერაპია.

გვერდითი რეაქციები.
პრეპარატის ხანგრძლივი გამოყენებისას შეიძლება გამოვლინდეს იოდიზმის მოვლენები (რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ცრემლდენა, ნერწყვდენა, გამონაყარი კანზე, კუნთების სისუსტე, ლეთარგია).

ვარგისიანობის ვადა. 3 წელი.

პრეპარატის შენახვის პირობები.
პრეპარატი ინახება სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.
პრეპარატი ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ ბავშვებს.

შეფუთვა.
25 გ ფლაკონებში.

გაცემის წესი
ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე

მწარმოებელი/განმცხადებელი.
შპს „ტერნოფარმი“ **(ООО «Тернофарм»)**

მწარმოებლის ადგილმდებარეობა და მისი საქმიანობის ადგილის მისამართი/განმცხადებლის ადგილმდებარეობა.
შპს „ტერნოფარმი“ **(ООО «Тернофарм»)**
უკრაინა, 46010, ტერნოპოლი, ფაბრიჩნაიას 4.
ტელეფონი/ფაქსი: (0352) 521-444, www.ternopharm.com.ua

ხელმოწერილია, ბეჭედდასმულია
ტექსტი შეთანხმებულია 05/07/2022